# ხობის მოამბე

№4 (7144)
14 აპრილი, ხუთშაბათი.
2022 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


# 9 აპრილი-ტკივილისა და იმედის დღე!



არსებობს თარიღები, რომელიც ერის ცნობიერში ღრმა და წარუშლელ კვალს ტოვებს. ასეთი თარიღია 9 აპრილი, ერთდროულად ტკივილითა და სიხარულით აღსავსე.

მძიმე, რადგან 1989 წლის 9 აპრილს, ბოროტების იმპერიამ კიდევ ერთხელ გამოავლინა საკუთარი ბუნება და თავისუფლებისთვის მებრძოლი მშვიდობიანი ადამიანები სასიკვდილოდ გაწირა. სწორედ, ამ ადამიანების თავგანწირვამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ორი წლის შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება.

9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

მადლობა თავისუფლებისთვის.

**დავით ბუკია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის მერი.**

## ღვთაებრივი თარიღი



ნებისმიერი ერის ისტორიაშია არაერთი გამოკვეთილად მნიშვნელოვანი თარიღია, რომლებიც იმსახურებენ, როგორც საერო, ისე საეკლესიო აღიარებას.

სწორედ ასეთი თარიღების მეწინავეა 9 აპრილი–ერთიანი ქართული იდეის გამარჯვების დღესასწაული!

1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მიერ ორგანიზებული მრავალდღიანი ანტისაბჭოთა მშვიდობიანი აქცია თბილისში, მაშინდელი მთავრობის სახლის წინ (ახლანდელი პარლამენტი), სასტიკად იქნა დარბეული მოსკოვის კრემლის ბრძანებით, საბჭოთა არმიის სპეციალური დანიშნულების სადესანტო შენაერთების მიერ, ორლესური სასანგრე ნიჩბების, ცეცხლსასროლი იარაღისა და მომწამლავი გაზის გამოყენებით.

ამ ბარბაროსული სადამსჯელო ოპერაციის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი–17 ქალი და 4 მამაკაცი, მათშორის არასრულწლოვნები. დასახიჩრდა და მოიწამლა აქციის ასეულობით მონაწილე. დაპატიმრებულიქნენ აქციის ორგანიზატორები, მათ შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. დედაქალაქში გამოცხადდა საკომენდანტო საათი. თავისუფლებას დაუპირისპირდა წითელი ურჩხული!

9 აპრილმა ეპოქა შეცვალა, იშვიათია ასეთი მაღალმნიშვნელოვანი დღეები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს ღვთითგანკუთვნილი თარიღი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გააბრწყინა და ზეციურ ჭეშმარიტებას გაუტოლა.

დიახ, 1989 წლის 9 აპრილი მიესაფუძვლა 1991 წლის 31 მარტის საერთოსახალხო რეფერენდუმს, რომელიც თავად გახდა საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისა...

2 გვ.





9 აპრილი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღეა.

დღეს, ქალაქ ხობში, 9 აპრილს სამშობლოს ერთიანობისთვის თავდადებულთა მემორიალი ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინით შეამკეს.

ხობის წმინდა სამების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზ კირიონ დარასელიამ სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი ლოცვა აღავლინა.

თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებმა 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მისი სახელობის წყარო ყვავილებით შეამკეს.

## ქრისტიანული სამყარო

## 24 აპრილს

## აღდგომის

## ბრწყინვალე

## დღესასწაულს აღნიშნავს

## გილოცავთ!

ბლიც ინტერვიუ

# „გახსოვდეთ წარსული, იზრუნეთ მომავალზე“



***სახელი:*** ლევანი

***გვარი:*** ქავთარაძე

***საქმიანობა:***–პროფესიით ვარ ექიმი-ნევროლოგი, ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

***თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?***

–საბედნიეროდ, ბევრი ლამაზი დღე მარგუნა უფალმა, ბოლო მათგანი შვილიშვილის დაბადება იყო.

***რას ინატრებდით?***

–ხობის და სრულიად საქართველოს აყვავებას, ძველი სიდიადის და მთლიანობის დაბრუნებას და მასში ბედნიერ ცხოვრებას.

***სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?***

–ჯერ კიდევ წინ მაქვს ცხოვრების დიდი ნაწილი და იმედია, აუსრულებელ სურვილებს მინიმუმამდე დავიყვან.

***ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?***

–ხობელი ამომრჩევლის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენას.

***ის, ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?***

–ბევრი ვინმეს გარეშე: ოჯახის, შვილების, მეუღლის, მეგობრების, პაციენტების....

***თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?***

–რთული სათქმელია, ალბათ, მიზანსწრაფულობა, ერთგულება, გვერდში მდგომისა და პროფესიის სიყვარული.

***თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?***

–მიცემული სიტყვის (დადებული პირობის) შესრულება მაშინაც კი, როცა ეს პირადად ჩემთვის ზიანის მომტანია.

***რისი გჯერათ?***

–უკეთესი მომავლის.

***ის, რასაც არასოდეს გააკეთებდით?***

–გვერდში მდგომს არ ვუღალატებდი. ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება-ერთგულება მოყვასისადმი, სამშობლოსადმი, საქმისადმი...

***ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?***

–ღალატის? ალბათ, არა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, იმდენჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში, რომ ვფიქრობ, უკვე აღარაფრის მეშინია.

***ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?***

–გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და ამიტომ ხშირად ვამბობ, „ყველაფერი კარგად იქნება“.

***რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?***

–სიყვარული! სწორედ, სიყვარულია ცხოვრების მამოძრავებელი ძალა! ამ ქვეყნად ყველაფერი სიყვარულით იწყება, სიყვარულითვე მთავრდება.

***როგორ მოხვდით პოლიტიკაში?***

–აპოლიტიკური არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი პოლიტიკაში ჩართულობა, ადრეულ წლებში, საინფორმაციო საშუალებებით პოლიტიკური მოვლენებისადმი თვალყურის დევნებით და საარჩევნო ყუთთან პოზიციის გამოხატვით შემოიფარგლებოდა. სამწუხაროდ, 2008 წლიდან ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა, ხალხისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილმა დანაშაულებებმა მაიძულა, აქტიურად ჩავრთულიყავი პოლიტიკაში, რადგან ვეღარ შევძელი შორიდან მეყურებინა თუ როგორ შეურაცხყოფდნენ ჩემს ხალხს და ქვეყანას.

***ვინ არიან თქვენი ოპონენტები?***

–არ მყავს.

***ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?***

–როგორ შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი ხობის განვითარებასა და ხობელების კეთილდღეობაში.

***რითი ილამაზებთ ცხოვრებას?***

–შვილებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, მეზობლებთან ურთიერთობით. მიყვარს სპორტი და მოგზაურობა.

***როგორი გინდათ, რომ დაგიმახსოვრონ?***

–ქვეყნის და მშობლიური კუთხის პატრიოტი, საქმის პროფესიონალი, ხალხზე მზრუნველი.

***როცა უკან მოიხედავთ, რას ხედავთ?***

–ალბათ მთავარს, იმას, რომ უკან მოხედვის არ მეშინია.

***თქვენი ნება რომ, იყოს რას შეცვლიდით?***

–გლობალურად ალბათ, ვერაფერს. ყოველთვის ვცდილობ, რეალურზე ვიფიქრო და ამიტომ, მისტიკური ფანტაზიებით თავს არ მოგაწყენთ.

***ის, რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით?***

–გახსოვდეთ წარსული, იზრუნეთ მომავალზე, მაგრამ იცხოვრეთ დღევანდელი დღით.

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი**

1←

ასე, რომ, 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. ეს თარიღი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ჩაიწერა ტრაგედიისა და ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ! ამ თარიღის პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე ყველა საუბრობს, ყველა გაზეთი, ტელევიზიის არხები თუ რადიო, მაგრამ ნაკლებად ეხებიან მის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მხარეს, სადაც უპირველესად უნდა აღინიშნოს მხატვრული სიტყვის მიუძღვნა ამ უდიდეს მოვლენას. ასევე პირველი ტექსტი გახლდათ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა–„ორნი აქა-იქ“. ეს საოცრად ემოციური, უსაშველო ტკივილით გაჯერებული ტექსტი გახლავთ პორტრეტი იპერიული ანატომიისა, ორი გმირის- მოკლული პატარა გოგონას და მკვლელი იმპერიის ჯარისკაცის წარმოჩენით. ტრაგიკულად დაღუპული გოგონას გარდა, არანაკლებ ტრაგიკულადაა დახატული მკვლელი ჯარისკაცის სახე, რომელიც თავადაა მსხვერპლი „დერჟავისა“, ვისი ტრაგიკული წარსულითა და ცრემლიანი ბავშვობის გამოისობით შერყეული ფსიქოლოგიით სარგებლობენ და აკეთებინებენ უღმერთო საქმეს. აქცევენ უდანაშაულოთა მკვლელად. მთავარი მაინც გოგონას სახეა,

# ღვთაებრივი თარიღი



აქტიურობა და ზემოქმედება დღევანდელი მასების განწყობასა მიდრეკილებაზე. ამ დღის აღსანიშნავად მრავალი ლექსი თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებები შეიქმნა.

9 აპრილის ტრაგედიის „ჰიმნად“ აღიარებულიქნა მორის ფოცხიშვილის „ტიტები“. ტკივილისა და იმედის გამომხატველი ცრემლიანი სტრიქონები. იმ ტკივილსა და მასთან დიდ სიხარულს გამოჩენილმა ეროვნულსულოვანმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა მიუძღვნა არაერთი ნიმუში, მათ შორის ერთსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც გახლავთ მიმართვა იმ დიდი მამულიშვილებისადმი, როლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას, მაგრამ თავისუფალი მამული ვერ იხილეს, ვერ გახდნენ მონაწილენი ამ ენითაღუწერელი ბედნიერი წამებისა.

„ერი გაერდა! ხალხი გახალხდა!
ვაი, დედასა! რა დროს არა ხარ!“

„საქართველო ბედნიერების ახალ მწვერვალზე ავიდა, ჩვენ ვიხილეთ დიდი და გამარჯვებული ერი, რომელმაც გაიგო თავისუფლების გემო და ფასი ამის შემდგომად მისი გამჩერებელი არავინაა!“–წერდა მწერალი ნოდარ წულეისკირი, გახმაურებულ პუბლიცისტურ წერილში „მზის ამოსვლით“ დიდი და გარდამტეხი მოვლენების თანადროულად ლიტერატურა, მწერლობა თავის სეფე სიტყვას ამბობს ხოლმე.

ასეთი გარდამტეხი და ისტორიული მოვლენები მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებებში პოულობს ასახვას. ჯერ იწყება პოეზიით, რომელიც მოუთოკავი ემოციურობით, სპონტანურობითა და ტკივილით ამოაფრქვევს დაუვიწყარ სტრიქონებს... მოგვიანებით პროზას დაეთმობა ასპარეზი და აქაც შეიქმნება მნიშვნელოვანი ტექსტები.

9 აპრილი წლების მერე, მოშუშებული იარისა და დაუნჯებული, გააზრებული ფიქრის შემდგომ ელოდება დიდ ნაწარმოებებს, ისეთებს-პლანეტარული რომ შეიძლება ეწოდოს. ეს თარიღი, მასთან განვითარებული პერიპეტიები უთუოდ იმსახურებს დიდ ლიტერატურულ „ხმაურს“. როცა მწერლურ ტექსტებზეა საუბარი, უთუოდ უნდა დავასახელოთ მწერალი, ნოველისტი რევაზ მიშველაძე, რომელმაც ნოველების მთელი ციკლი რომელსაც ებრალება „სალდატი“ და პატიობს მას სიცოცხლის წაგვრას...

9 აპრილის თემაზე ასევე მონუმენტური ნაწარმოები შექმნა ოთარ ჭილაძემ–„აველუმი“. აველუმი ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე, არაფრით განსხვავებული სხვებისგან, იგრძნობს გარდასახვის აუცილებლობას და ცდილობს თავისუფლების მოპოვებას, თუმცა ის შებოჭილია, უჩინარი საბჭოური იდეებით დახლართული, რის გამოც ვერ აღწევს საწადელს, მაგრამ ფარ-ხმალს არ ჰყრის და საკუთარ შვილს ჩაუნერგავს ამ იდეას და გადაულოცავს ფრენის სურვილს... რის გამოც ის კარგავს ყველაზე დიდსა და სანუკვარს, მაგრამ რწმენა აღფრთოვანებისა გაგრძელდა იმედსა და მომავალში... განა სხვა მწერლებს არ შეუქმნიათ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ქმნილებები. იმედია არ მიწყენენ, არც საკუთარი პროზაული თუ პოეტური ნიმუშები არ მომიხმია სანიმუშოდ, მთავარია შეგრძნება იმისა, რომ 9 აპრილი ამოუწურავი თემაა და ყოველ მნიშვნელოვან თარიღებს ნიჭიერი მწერლები აუკვდავებენ და ამით თავადაც უკვდავდებიან...

თითქმის ყველა ქართულ ოჯახშია დიდი, შავყდიანი წიგნი, ყდაზე გამოტანილი ძაძაბიანი ქართველი ქალითა და სისხლისფერი წარწერით „9 აპრილი“, ამ წიგნში მოყვანილი დოკუმენტური ფაქტები, დაბეჭდილი გამოხმაურებები, სამძიმრისა და პროტესტის წერილები და ლექსები, მომავალში არაერთ კალმოსანს აუფორიაქებს სულს და აალებინებს კალამს...

9 აპრილი კიდევ მრავალგზის აგუგუნდება ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

დიდება სამშობლოს თავისუფლებისათვის გმირულად დაცემულ მამულიშვილთა სულებს...

დიდება საქართველოს!

**ლაშა გვასალია**

# 14 აპრილი — დედაენის დღე, გილოცავთ!

## ქართულო სიტყვავ!



პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.
შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
მხეფი ნათლისა სულში დასხმარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!
შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს.
გულზე ხარ ცეცხლით მოჭიდებული,
ქართველი ხალხის სულის ღაღადო!
ფოლად–ნადებო, ვარდში ხვეულო,
თუ დაგივიწყო, შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.
შენ უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო,
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!

*გიორგი ლეონიძე*

# ქართული ენა– ეროვნული საუნჯე



დედაენის დღე გამორჩეული დღესასწაულია ჩვენი ერის ისტორიისთვის. საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვი განსაცდელი და უბედურება გამოუვლიათ ჩვენს წინაპრებს მშობლიური ენის დასაცავად და შესანარჩუნებლად. მან გაუძლო არაბების, მონღოლების, რუსეთის იმპერიის მრავალსაუკუნოვან ზეწოლას და შეინარჩუნა ის ღირსება, რომელიც შეეფერებოდა „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ერის ცხოვრებას.

ჩვენმა წინაპრებმა, დიდი ილიას თაოსნობით, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ქართული ენა, ეროვნული საუნჯე, განევითარებინათ, დაეცვათ და ასე გადაეცათ მომავალი თაობებისთვის. ვინ იფიქრებდა, რომ XX საუკუნის დასასრულს კვლავ საფრთხე შეექმნებოდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას.

1978 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკების ერებისთვის ჩამოერთმიათ სახელმწიფო ენის სტატუსი და სახელმწიფო ენად რუსული დაემტკიცებინათ. რუსული ენა ისედაც დომინირებდა საბჭოთა კულტურის ისტორიაში, მაგრამ ამიერიდან მას ეროვნული ენები უნდა განედევნა ამ ერთა ცხოვრებიდან და მეორეხარისხოვანი სტატუსიღა დარჩენოდა.

ჩვენი წინაპრები პატივს სცემდნენ სხვის ენებსაც, ანუ–უცხო ენებს, მაგრამ მიაჩნდათ, რომ ბავშვებისთვის–უპირველესი ჯერ მშობლიური უნდა ყოფილიყო და მერე–უცხო ენა, ამის შესახებ საგანგებო ნაშრომებს ქმნიდა დიდი მეცნიერი და პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

მხოლოდ მტერს შეუძლია თქვას, ქართველს უცხო ენები არ სჭირდებაო, მაგრამ ამას მიაღწევდა, ვინც მშობლიურს დაეუფლებოდა კარგად. იაკობ გოგებაშვილი მშობლიურის შემდეგ დიდ უპირატესობას ანიჭებდა ევროპულ ენებს და განსაკუთრებით ინგლისურს... აი, ამ ისტორიის, ამ განწყობის მქონე ქართველ ერს, როგორც ვთქვი, საბჭოთა ხელისუფლებამ, შოვინისტურმა იმპერიულმა პოლიტიკამ დაუპირა რუსული ენის გაბატონება.

საოცარი სიმტკიცე და შინაგანი ძალა გამოავლინა მაშინ ჩვენმა საზოგადოებამ. საერთო სულისკვეთებით შეიკრა მთელი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით–სტუდენტობა. მთავრობის სახლთან, მთელ რუსთაველზე, დემონსტრანტები მიყურადებულნი იყვნენ რადიოს, რომელსაც უნდა გადმოეცა ქართული ენის სტატუსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება. ედუარდ შევარდნაძე ხალხში გამოჩნდა მოსალაპარაკებლად, როგორც ვიცი, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სტუდენტობის ერთმა ნაწილმა დანიშნულ დროს ტელევიზიით გაიგო სასიხარულო ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მაშინვე შეიტყო რუსთაველის პროსპექტზე გამოსულმა საზოგადოებამ და მთელმა საქართველომ... აი, ეს გამოიარა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა მშობლიურმა ენამ, ამას ვზეიმობთ.

მინდა ეს დღე მივულოცო ჩემს ხობელებს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს მოსწავლეებს, ვუსურვო მათ მშვიდობიანი სამშობლო და ბედნიერი მომავალი.

***ზაირა ცხადაია,***
***ხობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.***



# „შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ...“

მე-10 საუკუნის ცნობილი ჰაგიოგრაფი მწერალი გიორგი მერჩულე წერდა: „*ქართლად ფრიადი ქუეყანა რომელსაცა* შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულებისო.“ ამ სიტყვებში უმნიშვნელოვანესია ის, რომ ერი, მთლიანი საქართველო, დახასიათებულია ენის ნიშნის მიხედვით. ის ერის ცნობიერების მთავარი ნიშანია და მასში მკაფიოდ აირეკლება ერის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, მისი დაცემა და აღდგენა, ტკივილი და აღმაფრენა.

დღიდან შექმნისა, მრავალი წინააღმდეგობა გამოუვლია მას და დღეს თითოეული ჩვენგანის ვალია, ვუფრთხილდებოდეთ და ვპატრონობდეთ, რადგან მისი მომავალი ჩვენ გვაბარია.

პატრიოტიზმი მხოლოდ პათეტიკური ტონით სამშობლოს სიყვარულის მტკიცება როდია, სამშობლოს სიყვარული, უწინარესად, მისი ძირითადი საგანძურის „პატივისცემას“ გულისხმობს.

როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს „მშობლიური ენის სიწმინდის გულისთვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი.“

როგორც ვხედავთ, ერი და ენა განუყოფელი ცნებებია და, თუ ჩვენ ვიცავთ ერის ღირსებას, ვუფრთხილდებით მას, ასეთივე მიდგომა გვმართებს ენის მიმართ, მაგრამ გვაქვს კი თავის მოსაწონებლად საქმე?! ხშირად შეინიშნება სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევა, რომლის დროულ გამოვლენასა და აღკვეთას უპირველესად უნდა ვცდილობდეთ. ენისადმი უდიერი დამოკიდებულებაა, როცა ვხედავთ ასე მომძლავრებულ, მოდადქცეულ ბარბარიზმებს, რომელიც უცხო სხეულია ენის ორგანიზმში, რომელიც მშობლიურის გაწირვას ნიშნავს. წაყრუება ამ დროს სავალალოა.

გულს გვტკენს ის ფაქტი, რომ იმ ერის შვილები, რომელ ერსაც საამაყოდ ასეთი დიდი საგანძური გააჩნია, თავს ვიწონებთ უცხოენოვანი წარწერებით, რეკლამებით, პლაკატებით, აფიშებით...ძალიან დაკვირვებული თვალი არ სჭირდება იმის აღმოჩენას, რომ ქართული წარწერა ან საერთოდ უგულებელყოფილია, ან ისე მოკრძალებულად გამოიყურება, თითქოს საგულდაგულოდ ვმალავთ ამ დიდ საუნჯეს....

კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღიდან დაარსებისა, მრავალ წინააღმდეგობას გაუძლო ქართულმა ენამ, რადგანაც საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში განიცდიდა ახლო თუ შორეული მეზობლების პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ გავლენას. ასეა დღესაც და ამიტომ მით უფრო საჭიროა ფხიზლად ვდარაჯობდეთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს.

ძალიან მძიმე იყო ჩვენი ენისადმი ერთმორწმუნე ჩრდილოელი „მეზობლის“ „კეთილშობილური“ დამოკიდებულება, მაგრამ ქართველმა ერმა სულიერი სიფხიზლის წყალობით, დიდი რისკის ფასად, 1978 წლის 14 აპრილს ის დაიცვა და ხელიდან გამოგლიჯა „ჩვენს დიდ მეზობელს“ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის არსებობის უფლება.

ეს იყო ომი, რომელშიც გავიმარჯვეთ, საზეიმოა და ვზეიმობთ, ძეგლი დავუდგით, ჰიმნიც მივუძღვენით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მხოლოდ ამით ვერ მოვიწონებთ თავს მომავლის წინაშე.

ვფიქრობ, დროული და საჭიროა სახელმწიფომ და თითოეულმა ქართველმა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოჩინოს და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ საკითხს, ეს ჩვენი კეთილი ნება კი არა, ვალდებულებაა. როგორც მუხრან მაჭავარიანი წერს:

„დღეს მისი ბედი ჰკიდია
ჩვენზე!
ლარი და ხაზი ამას არ
უნდა....
ჩვენ უნდა შევძლოთ
და კიდეც შევძლებთ!–
რომ იძლიეროს
ენამ ქართულმა...“

***ნანა ქვარაია,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი***

№4 (7144) 14 აპრილი, ხუთშაბათი, 2022 წელი.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული გიორგი გუგუჩია და შპს საქართველოს მელიორაციის გენერალურ დირექტორი თენგიზ ნასარიძე, ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

სოფელ ჭალადიდში, ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 4,2 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული არხები იწმინდება. ჩატარებული სამუშაოები კოლექტორში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს, შედეგად, 1050 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობისა და საკარმიდამო ეზოების დატბორვის საფრთხე აღარ იარსებებს.

„სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ, დაახლოებით, 500 მლნ ლარია ამ მიმართულებით დახარჯული.

ხობის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოები დავათვალიერეთ. სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების მასშტაბური სამუშაოების შედეგად, დასავლეთ საქართველოში, შესაძლებელი გახდება ძალიან დიდი ფართობები მოექცეს ეკონომიკურ ბრუნვაში და ისინი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის იქნას გამოყენებული“,–განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 2012 წლიდან დღემდე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 47 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. სამუშაოების ჯამური ღირებულება 11 მლნ ლარია.

## სოფელი

# „საჯიჯაოელთა ინტერესების დაცვა, ჩემი უპირველესი საზრუნავი და მოვალეობაა“

### თამარ კვარაცხელია–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში

***საჯიჯაო თქვენი მშობლიური სოფელია, ახალგაზრდა გოგონას დიდი მისია დაგეკისრათ, გაუძღვეთ ადმინისტრაციულ ერთეულს.***

***გვიამბეთ, ვინ არის თამარ კვარაცხელია?***

–დავიბადე 1992 წლის 26 მაისს საჯიჯაოში. მყავს დედა–ლალი ახალაია, მამა იაკიმე კვარაცხელია, ძმა–გიორგი კვარაცხელია.

2010 წელს დავამთავრე საჯიჯაოს საჯარო სკოლა. 2010-2014 წლებში ვსწავლობდი შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

2015 წლიდან 2021 წლის ნოემბრამდე ვმუშაობდი საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალისტის თანამდებობაზე.

***იმედია, გაამართლებთ ნდობას. როგორი იყო პირველი სამუშაო დღე ახალ ამპლუაში?***

–უპირველესად მადლობა მინდა გადავუხადო ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბუკიას იმ ნდობისთვის, რომელიც გამომიცხადა. ვაცნობიერებ ამას და ჩემი მთავარი მოტივაცია ამ ნდობის გამართლება იქნება.

შესაძლებლობის ფარგლებში გავაკეთებ ყველაფერს, რომ ჩემი სოფელი უფრო წარმატებული გახდეს. ადამიანების ინტერესების დაცვა და სოფლის საკეთილდღეოდ ზრუნვა, ახლა ჩემი უპირველესი საზრუნავი და მოვალეობა გახდა.

***ყველაზე კარგი რჩევა, რაც მიიღეთ, როგორც ხელმძღვანელმა?***

–მშობლებმა და ახლობლებმა დამმოძღვრეს, რომ მიყვარდეს ხალხი, მათი აზრი და სურვილები გავითვალისწინო, რჩევები მისაღები და საინტერესოა.

***ცოტა რამ თქვენს სოფელზე?***

–სამეგრელოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, მდინარე ზობლასა და ჭანისწყალს შორის მდებარე საკრებულო დღეს საჯიჯაოდ მოიხსენიება და სამი სოფლისგან შედგება: ზენი, ზუბი და ჯაპიშაქარი (გალმა საჯიჯაო ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოეყო). ასზე მეტი წელი დასჭირდა, რომ ასეთი ძლიერი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბებულიყო.

საჯიჯაოს საკრებულოში შემავალი სოფლები პირველად მოხსენიებულია იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა, დავით დადიანმა (1840-1853) წელს ჩაატარა.



საჯიჯაო ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული ერთეულია ხობის მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობს 945 კომლი, 3330 მოსახლით, აქ 46 ლტოლვილი და 45 სოციალურად დაუცველი ოჯახია.

საჯიჯაოში არის სკოლა (დირექტორი მაია შუშანია), სადაც სწავლობს 230 მოსწავლე, აქ ღირსეული და გამორჩეული პედაგოგები მოღვაწეობენ. სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტები. გამოიცვალა სკოლის შენობის სახურავი, სამივე სართულს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გარემონტდა სპორტული დარბაზი.

არსებობს საბავშვო ბაგა-ბაღი (მთავარი სპეციალისტი შორენა თურქია), რომელიც მთლიანად გარემონტებული და კეთილმოწყობილია. ბაგა-ბაღი ემსახურება 80-მდე აღსაზრდელს.

სოფლის კულტურული ცენტრია კულტურის სახლი, (წამყვანი სპეციალისტი ქეთევან კაკაშვილი), რომელსაც ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, სადაც ტარდება ძალიან ლამაზი და ღირსშესანიშნავი ღონისძიებები. ასევე არის ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი მაია უბილავა), სადაც ტარდება მწერლებისა და პოეტების საიუბილეო საღამოები, წიგნადი ფონდი 9000 წიგნს შეიცავს და წლიურად 250-მდე მკითხველს ემსახურება.

ჩვენს სოფელში არის „აიპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრში“ შემავალი ფილიალი სპორტის სფეროში, არსებობს კრივის და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეების ჯგუფი (მწვრთნელები: ალმასხან ხუნჯუა, ედიკა თოდუა, ზურაბი ჭითაშვილი), სადაც მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ჩემპიონები ვარჯიშობენ.

არსებობს პოლიციის განყოფილება (უფროსი კახაბერ ლატარია), სადაც ღირსეული პოლიციელები 24 საათის განმავლობაში ემსახურებიან სოფელს. არის სამედიცინო ამბულატორია, სადაც დასაქმებული ექიმი (გულიკო კარაიჩევა) და ექთნები (ელზა ჩადუნელი, ქეთინო წურწუმია) პანდემიის შედეგად შექმნილ მძიმე პირობებში ზრუნავენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

***კოვიდ-19-ის პანდემია და სოფელი... როგორი სტატისტიკაა?***

–საჯიჯაოსთვის და ზოგადად მსოფლიოსთვის კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც სრულიად შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა.





საჯიჯაოში მოსახლეობის 60 პროცენტამდე აცრილია. ბუსტერით, ანუ მესამე დოზით 30%.

***სოფელმა რაიმე წვლილი ხომ არ გაიღო უკრაინელი ხალხის დასახმარებლად?***

–რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ხალხის დახმარების პროცესშია ჩართული საჯიჯაოს მოსახლეობაც. სოფელი აქტიურად მონაწილეობდა „გაიღე სისხლი უკრაინისთვის“ სისხლის დონაციის აქციაში. ასევე მცირედი მატერიალური დახმარებაც გაეწია სოფლის სახელით.

***რა გაკეთდა გასულ წელს საჯიჯაოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ? რა იგეგმება 2022 წელს?***

–ბოლო წლებში, საჯიჯაოში ბევრი რამ გაკეთდა. საჯიჯაო-ახალი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე დაიგო ბეტონის საფარი, სოფელ ზენში კი ასფალტის საფარი. აშენდა და გარემონტდა ხიდები. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გაღმა საჯიჯაოსკენ მიმავალ გზაზე, მოეწყო ცხაური, აშენდა მოსაცდელი ზენში, ზუბსა და ჯაპიშაქარში გაკეთდა გარე განათება.

2022 წელს საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი იგეგმება. მიმდინარეობს საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრიდან, მდინარე ჭანისწყალის ხიდამდე გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2,9–კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ეზოებში შესასვლელი.

ზუბის უბანში მიმდინარეობს სანიაღვრე არხის ამოწმენდა და ახალი მილ-ხიდების მოწყობა. რამოდენიმე დღეში დაიწყება სოფლის გაზიფიცირება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სოფელ ზენში, სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე, დაიგება ბეტონის საფარი. ზუბში გაკეთდება გარე განათება, ჯაპიშაქარში, სასაფლაოს და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაკეთდება სველი წერტილი. მიმდინარე წელს დაგეგმილია სხვადასხვა პროექტები.

სოფელში მცხოვრები მეწარმეების დახმარებით განვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. მათ შორის, ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვნად საჭირო, სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფაც იგეგმება.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***



*დღეს ცხადი და ნათელია, რომ „სხვა“ დრო დადგა. ფსიქოლოგიურად დაძაბული. მედიასაშუალებები უცნაურ და გასაცნობიერებლად გაუსაძლის ინფორმაციებს გვაწვდიან მოძმე უკრაინიდან, რაც ქართველებისთვის კარგად ნაცნობი და მტკივნეული ფაქტებია... გაიხსნა მოუშუშებელი ჭრილობები, გაცოცხლდნენ ტკივილით, ცრემლით, ძაძებით მოსილი ამბები... და ამასთან, არჩამკვდარი იმედი, აფხაზეთში, ჩვენს ძირძველ მიწაზე დაბრუნებისა...*

*ქუჩაში შემხვედრთა უპირველესი კითხვებია–ნახე რა ამბებია უკრაინაში?*

*დიდია და შესაძლებლობას აღემატება საქართველოს ხელისუფლების პირველი დღიდანვე გამოხატული მხარდაჭერა უკრაინელი ხალხისადმი, შეგროვდა და გაიგზავნა ჰუმანიტარული ტვირთი, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტიდანაც, რომელიც ამ მხარდაჭერის გულწრფელი გამოხატულება იყო.*

*წინამდებარე სტატიის დაბეჭდვის მიზეზი გახდა ბავშვების რეაქცია უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენებზე. ვგონებ, ყურადღება მისაქცევია: 10 წლის ბარბარეს სურვილი აქვს მოიპოვოს ვლადიმერ პუტინის ტელეფონის ნომერი, დაურეკოს და უთხრას, თუ ომს არ შეწყვეტს, ღვთისგან და ადამიანებისგან დაწყევლილი იქნება...*

*ნუცა კი უფრო შორს მიდის და მასწავლებლის მიერ ათი ქულით შეფასებულ დავალებას, სევდანარევად მიკითხავს. „ვოლოდიმირ ზელენსკი დღემდე ყველას უყვარს. რუსი ოკუპანტები ღარიბებსაც კი ძარცვავენ. უდანაშაულო ხალხს კლავენ, ქალებს და ბავშვებს ხოცავენ. პრეზიდენტი და ქალაქის მერები, ყველაფრის მიუხედავად, არ ტოვებენ ქვეყანას. დიდება უკრაინას. დიდება გმირებს!“*

*საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც „ჩახედულნი“ არიან ამ უსასტიკეს ომში, რომელმაც კოვიდ-19-ის პანდემიაც დაავიწყა მათ.*

*ალბათ, დამეთანხმებით კოვიდ-19-ის პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა უარყოფითად იმოქმედა ბავშვების ფსიქიკაზე.*

*ჩვენ რედაქციაში მოვიწვიეთ* **ანა კვაშილავა**–*ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების და ასევე შშმ და ს.ს.ს.მ. ბავშვთა დღის ცენტრის „ჩვენი სახლის“ ფსიქოლოგი და ვთხოვეთ, რჩევა მიეცა მშობლებისთვის.*

# პრობლემები ბავშვებთან და რჩევები მშობლებს

–მადლობა შეხმიანებისთვის. სანამ გადავალთ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებზე, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო 2019-2022 წლების გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე.

ცხადია, რომ კოვიდ-19-ის სახელით ცნობილმა პანდემიამ, ურთულესი საფრთხის წინაშე დაგვაყენა. ჩვენი მეგობრები, ნაცნობები, ახლობლები გახდნენ ამ უხილავი საშიშროების მსხვერპლნი. საგრძნობლად შეგვეცვალა ცხოვრების სტილი. ცხადია, ამან იმოქმედა ადამიანის ფსიქიკაზე, იმოქმედა ბავშვებზე, ოჯახურ თუ სამსახურებრივ ურთიერთობებზე. ჩვენ, ყველანი აღმოვჩნდით სახლებში ჩაკეტილი, ამოუხსნელი სირთულით და წარმოუდგენლად ბევრი გამოწვევის წინაშე.

სკოლა, სამსახური, ბაღი, სათათბირო კაბინეტი, საავადმყოფოს პალატა... ამ ყველაფერმა გადმოინაცვლა ჩვენს სახლებში მაშინ, როცა სახლი იყო ადგილი, სადაც ვისვენებდით და ოჯახის წევრები აზრებს ვცვლიდით, გეგმებს ვათანხმებდით, შვილებს ვეფერებოდით, ვასწავლიდით, ვუბრაზდებოდით. ჩვენ დავრჩით ჩაკეტილები საკუთარ პრობლემებთან.

ამ ყველაფერს დაემატა XXI-საუკუნეში ომი.

2022 წლის 24 თებერვლიდან სრულიად ცივილური სამყარო ვიმყოფებით ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. გვტანჯავს უსუსურობა და გვტკივა ამდენი უდანაშაულო ადამიანის ხოცვა, განსაკუთრებით გაუსაძლისი სანახავია ბავშვების ჟლეტა, გენოციდი უკრაინაში.

ჩვენ დღეს მარტო უკრაინაზე და რუსეთზე არ ვსაუბრობთ, აქ პირდაპირი გაგებით თეთრზე და შავზეა საუბარი. ჩვენ და ჩვენმა ქვეყანამ დიდი ხნის წინ აირჩია თეთრი, დაცული გზა წინსვლისთვის. ჩვენი თანამედროვენი გავხდით გაუგონარი დანაშაულის მომსწრე უკრაინაში ომის დანაშაულის სახით. არაფერს ვამბობ აფხაზეთსა და ოსეთზე. ამ ხილულ სადიზმს ჰქვია რუსეთი, „პუტინის“ რადიკალური პოლიტიკა.



ვიცით, რომ ყველა ადამიანი ინდივიდია, შესაბამისად არ არსებობს რჩევა, რომელიც უნივერსალური იქნება და ყველა მშობელს ერთნაირად კარგ შედეგს მისცემს. თუმცა, მე, როგორც მშობელი და როგორც ფსიქოლოგი, ვთვლი, რომ არსებობს ერთი ოპტიმალური გზა შვილებთან საურთიერთოდ და მას „საუბარი“ ჰქვია. ვესაუბროთ ბევრი და ვიყოთ გულწრფელი. გულიდან ამოსულ სიტყვებს დიდი ძალა აქვს.

ხშირად მშობლები შვილებს არასაჭირო ემოციებს ვუნერგავთ ჩვენდაუნებურად, როგორიცაა შიში მაშინ, როცა ვეუბნებით: მანდ არ მომიყვანო! ჩემი სიტყვა კანონია! ხმა გაიკმინდე! ვფიქრობთ, ამ სიტყვებით მათ ქცევას შევცვლით. სინამდვილეში მიღებული შედეგი ხანმოკლეა და უსარგებლო. იმიტომ, რომ ჩვენი ეს აგრესია მოჩვენებითია და ემსახურება მხოლოდ შიშის ჩანერგვას.

ასევეა არასწორად გაცემული ჯილდო. ჩვენ ვეუბნებით შვილებს: აი, შენ თუ ამას გააკეთებ, ხვალ, მე შენთვის სასურველს მოგცემ, გიყიდი. ამ შემთხვევაში ბავშვს გამოუმუშავდება, რომ მხოლოდ სასურველის მიღებისას მოიქცეს კარგად.

შემდეგი ეს არის „სირცხვილი“, როცა ჩვენ ვარცხვენთ ან ვეუბნებით, რომ მათ გამო გვრცხვენია. ეს ყველაზე დამანგრეველ და საშიშ ემოციას შობს და ამ ემოციას განზრახვა ახლავს, მანიპულაციის განზრახვა. როცა ვერ მიიღებენ რაიმე სასურველს, შერცხვენას გამოიყენებენ მიზნის მისაღწევად.

5 წლამდე პატარებში ეს გამოიხატება საჯარო სივრცეებში ისტერიკით, უცხო ადამიანების თანდასწრებით უსაფუძვლო ჭირვეულობით, ხოლო მოზრდილებში–ყვირილით, პროტესტით და შეურაცმყოფელი პასუხებით.

უკვე ვისაუბრეთ წამოწეულ პრობლემურ საკითხებზე. რაში ვხედავ გამოსავალს?

დავუბრუნდები ისევ გულწრფელად საუბრის ჯადოსნურ შესაძლებლობებს, როდესაც დავდგებით კონკრეტული პრობლემის წინაშე. არაა საჭირო გავასამართლოთ ან გავამართლოთ ბავშვი, არ მოვიწვიოთ ბებია, ბაბუა და ოჯახურად არ განვიხილოთ საკითხის სიმძიმის ხარისხი, პირიქით, მხოლოდ კითხვები დავსვათ, რომ მივიღოთ პასუხები.




რა მოხდა? რა ხდებოდა? ეს შეკითხვა ბავშვს საკუთარი ქცევების ხაზგასმას აიძულებს. ეს სიტყვები დააფიქრებს სიტუაციაზე და მის გადმოცემაზე.



რას გრძნობ ახლა? ან რას გრძნობდი? ეს კითხვები პირდაპირ გვიკვალავს გზას მის შეგრძნებებსა და რეაქციებზე, ჩვენ იქნებ ვერ მივიღოთ სწორი პასუხი, მაგრამ გულის სიღრმეში ის დააფიქრებს მას.

რატომ? რატომ გააკეთე ეს? ამ ტიპის შეკითხვა მოგვცემს საშუალებას, ჩავწვდეთ მის აზრებსა და სურვილებს, მის მიზნებს, რამდენად გულწრფელია ის?

რა მოიგე? რა მიიღე ამით? რა შედეგამდე გახვედი?

ამ შეკითხვით ბავშვს ვუბიძგებთ, დაფიქრდეს ქცევის მიზეზ შედეგობრიობაზე. ღირდა კი ამად? რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ამ პრინციპისკენ ვუბიძგებთ ირიბად და ეს სწორიცაა... მან უნდა აგოს პასუხი მის ქცევებზე. კარგი ქცევისას ჯილდო მიიღოს, ცუდისას–სასჯელი. საჭიროა, როგორმე ჩვენმა საუბრებმა ბავშვის გონებასა და გულში შეაღწიოს. გული საოცარი რამ არის, მისი ყურებით ვერასოდეს მივხვდებით როგორია, მაგრამ როგორღაც მასში სიყვარულისთვის იმდენი ადგილი არსებობს, რამდენიც გვჭირდება. ცუდი ისაა, რომ ზოგი ადამიანი გულს მხოლოდ სიყვარულსა და სითბოს არ უთმობს. მშობლის, და არამარტო, ვალდებულებაა სწორად მივუდგეთ გარკვეულ პრობლემას. ჩვენ ვასწავლით ბავშვებს იყვნენ ჩვენთვის კომფორტულები, მაგრამ არ ვფიქრობთ ჩვენ რა დისკომფორტში ვამყოფებთ მათ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, ჩვენი მცირეწლოვანი შვილებისთვის, ჩვენ მისაბაძი ადამიანები ვართ, ვისგანაც სწავლობენ ცხოვრებას.

დაბადებიდან გარდატეხის ასაკამდე ჩვენ მათი კუმირები ვხდებით. გარდატეხის ასაკში მატულობს ბრაზი, ამბოხი, უსუსურობის განცდა, ეჯახება ბევრ იმედგაცრუებას. ამ შემთხვევაშიც ვალდებულები ვართ გვესმოდეს. უნდა მივიღოთ შვილები, ისეთები, როგორებიც არიან, გვიყვარდეს უპირობოდ, უნდა მივცეთ ხანდახან ყირაზე გადასვლის ნებაც. დასჯა და გაკიცხვა ვერ გაგვიყვანს შედეგამდე. მათ ფიქრის, საკუთარი აზრის გადმოცემის, ტირილის, გაბრაზების, მოფერების ნება უნდა მივცეთ.

ვთვლი, რომ ნებისმიერი პრობლემა, ტიპიური თუ არატიპიური შვილი, ჩვენი გაკეთილშობილებისთვის გვევლინება და არა პირიქით, მეტწილად გვცვლიან და უკეთესებს გვხდიან.

ყველა მშობელს ვუსურვებ, საკუთარი თავის აღმოჩენა შეძლონ და ამ აღმოჩენებში კეთილშობილური ზრახვების ზრდას შეუწყონ ხელი.

**საუბარი ჩაიწერა მერი ლაგვილავამ.**

წიგნის პრეზენტაცია

# „ვამაყობ, ვცხოვრობ დროის გარეშე“



დიახ!

ლემზარ გაბელიას სათქმელს დროის განზომილება არა აქვს, ისევე როგორც თავად... ზენა ქარივით მოუხელთებელსა და არტახებდაუდებელს.

ამასვე გვემკიცება დღესაც, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მოულოდნელად თვალს მიფარებული, ხისტად გაუჩინარებული, მუდამ ფიქრიანი და სტანდარტულ ჩარჩოებს იქით მზირალი.

არადა, მაშინ, ამ ჩვენს თანაკურსელზე, უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ქუთაისის ლიტერატურულ წრეებში, როგორც გამართული ნოველების ავტორზე, მაგრამ წლების წინ ყველასა და ყველაფრისგან განდგომა არჩია თავისუფლებასთან გაყრას, მისი წილი თავისუფლების შენარჩუნება და ბეჭზე წამოკიდება ჩაუთვალეს ვერსაპატიებელ დანაშაულად...

დღეს კი, კეთილი ნების მიერ ძალაგამოჩინებული, პროზიდან პოეზიაში გადანაცვლებული, მძაფრი გრძნობებით ნაავადარი, მაგრამ გაუხრელი კვალით აქამდე მოსული მისი ლექსები ჩვენი ფანჯრის რაფაზე „მორცხვად დაღვრილან“, როგორც გაუტეხელი მეციხოვნის სალამურის სევდიანი, მაგრამ ბოლომდე თავისუფლებაშენარჩუნებული ჰანგები, რომელთა ჟღერადობას, მოზღვავებული სათქმელის გამო, **უნაპირობა გახდომია ნაპირად!**..

ამგვარად, წიგნის სახელწოდების კოდიც გახსნილია და გაცხადებული! სწორედ უნაპირობაა ლემზარ გაბელიას გულწრფელი შემოქმედების საიდუმლო გასაღები: მძაფრი დინამიკა, გამომსახველობის მკაცრი ფერები, ალეგორიულად მოტანილი ტკივილი, ამეხებული პროტესტი, მანკიერებასთან დაუზავებლობა და უფრო მეტიც... ფილოსოფიური მისტიკურობა! აი, ის განცდები, რასაც გულმოდგინედ აჩუქურთმებს თავისი განსხვავებული საჭრეთელით „მართალი ჯავრითა და ტყუილი ნეტარებით“ შთაგონებული პოეტი.

ჩვენსკენ მისი შემობრუნება კი მარტივი არ ყოფილა!.. დიდი ძალისხმევის შედეგად, როგორც იქნა, წარვსტაცე დაჭრილი, მაგრამ ვერამღვრეული მისი სულის ნაწილი, უფრო სწორად, ძალად ჩამოვფხრიწე, რადგან ცხადად ვიგრძენი ამდაგვარი ფხრეწამსხვრევის გარეშე არც ერთი დღე არ უცხოვრია...

ნახევები სათუთად შევამთლიანე და ყური მივუგდე მისი ლექსების ხმიანობას. აი, რა მითხრეს მათ:

–ჩვენი ავტორი იმ „ძალადგაადამიანებულ“ სხვა სამყაროს მკვიდრთ ეკუთვნის (და რომ ეს ძალზედ ხმამაღალი ნათქვამი არ არის, ამაში გზადაგზა დარწმუნდებით), რომლებიც მუდამ დასიცხულნი არიან, მაგრამ საქონლის ნაჩლიქარ გუბურადან წყალს არ დალევენ!

–გამუდმებით შიმშილს განიცდიან, მაგრამ უღირსი კაცის სუფრიდან არ დაპურდებიან!

–უწყვეტლივ პირღია ჭრილობებს ატარებენ, მაგრამ ზნეამღვრეული ფერშლებისგან განკურნებას არ ეღირსებენ!

ამიტომაც იქცა ზეცისაკენ თვალის მიბჯენა მისი იდეალების გადარჩენის განმსაზღვრელად.

ახლა, ეს ჩვენი მონათესავე სული, იმ თეთრ ფრინველს მაგონებს, აფრენისას მაღალი ხის კენწეროს რომ გამოედო ფრთებით, ხოლო ხემაც (მიუხედავად მისი სიმაღლისა) ისე ჯიუტად მიისაკუთრა, რომ არც მიწისად აქცია და არც ცისად!

...და აი, იმ მაღალი საკენწერო ხიდან დიდი ძალისხმევით დღეს თქვენამდე მოვიტყუე, ჩემო მეგობრებო!.. იმედია, მიეჟივილხივილებით!

ფრთათა ირაოს ახალ ფაზას გთავაზობთ ეს მცირე სივრცე... დიდი თანადგომისა, სუფთა ნაკვალევით შემობრძანებულო მეგობარო, ასე მოხერხებულად რომ „შეგიტოვებია“ ამა ცხოვრების ჭუჭყი წითელი ტალახისთვის, უამრავ დრამაში ნაცვეთ ჩექმებთან ერთად“!..

შენი მობრძანებისა იყოს, ლემზარ!

***ნანა ქომეთიანი***

---



საღამო, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ელისო კვიკვინია) ინიციატივითა და ხობის მუნიციპალტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის (დირექტორი კობა კობახიძე) ორგანიზებით ლემზარ გაბელიას წიგნის „უნაპირობა ნაპირად“ პრეზენტაციას მიეძღვნა, მეტად ემოციური გამოდგა დამსწრე საზოგადოებისთვის.

უამინდობის მიუხედავად, კულტურის სახლის მცირე დარბაზში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო, იქაურობას სითბო და სიყვარული ავსებდა...

იყო დროის და იმ პერიოდის ეროვნული სულისკვეთების, ქართული პოეზიის აღმაფრენის, ხობის №1 საშუალო სკოლის ამქვეყნიდან წასული პედაგოგების მონატრება.

ხობის №1 საჯარო სკოლის, (სადაც ლემზარი წლების განმავლობაში ასწავლიდა) პედაგოგების ზაირა ცხადაიას, ქეთევან გაბისონიას, ლალი ჩიტაიას გამოსვლამ შთაბეჭდილება უფრო გაგვიმძაფრა და გვაფიქრებინა, რომ „გავმრავლდებით და არასოდეს გადავშენდებით“.

ხობის №1 და სკოლა „არეას“ მოსწავლეებმა სიმღერებითა და ლექსებით დაგვატკბეს.

ლემზარ გაბელიას ყოფილი მოსწავლეების ქალაქ ხობში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის კობა თუთბერიძის, პოეტ ლაშა გვასალიას, მუნიციპალიტეტის მერის ბატონ დავით ბუკიას, საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ლევან ქავთარაძის მისასალმებელმა სიტყვებმა დაგვარწმუნეს, რომ მოძღვარს უნაკლოდ გაურანდავს მათი სული, სამშობლოსა და ერის სიყვარულით აუვსია მათი გულები, პოეზიისა და რითმის შეგრძნება მწვერვალამდე აუყვანია. მათმა სახალისო მოგონებებმა უფრო გამოაჩინა მოძღვრის პოეტური სული, ადამიანური თვისებები...

სევდა ახლდა გამორჩეული პედაგოგის ციალა სახოკიას (ლემზარის მეუღლე) მოგონებას...

საღამო ჩვეული რუდუნებით მიჰყავდათ ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელ ქრისტინე ფარცვანიას და ბატონ ბეჟან ნადარაიას.

ჩვენი გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა საღამო მიმდინარეობდა. ამ მიზეზით დღეს ამით შემოვიფარგლებით...

გავკადნიერდები და უბრალოდ ვიტყვი, როცა ბატონების დავით ბუკიასა და ლევან ქავთარაძის სიტყვები მოვისმინე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორედ ასეთი წიგნიერი პიროვნებები და ხელმძღვანელები სჭირდება ქვეყანას.

...სიხარულის ცრემლებით დავტოვე დარბაზი, დავესესხები ბატონ ბეჟან ნადარაიას: „ვისაც ჯერ არ წაუკითხავს ლემზარ გაბელიას ლექსების კრებული, წინ დიდი სიამოვნება ელის“.

გავიზიარებ დარბაზის განწყობას–მადლობა საღამოს ინიციატორებსა და ორგანიზატორებს.

***მერი ლაგვილავა***

# დრომ შეაფასა შესაფასებელი



ტრისტან ვადაქარია.

გამორჩეული თავისი სტილით...

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული...

კარგი პოეტი...

კარგი მეუღლე...

სამი შვილის კარგი მამა...

კარგი მეგობარი...

უბრალოდ, კარგი ქართველი.

ტრისტანმა თავისი ლექსებით გაამდიდრა სამყარო, რომელ-



საც პოეზია და სიტყვაკაზმულობა ჰქვია. წერს ნანახზე, განცდილზე და ყველა იმ სიკეთეზე, რომელიც სურს, რომ კეთილად აუხდეს.

და დღეს ახალგაზრდა თაობა ტრისტანის ლექსს, რომ კითხულობს, ეს ნიშნავს, რომ დრომ შეაფასა შესაფასებელი. მისი ლექსები გამოირჩევა სისადავითა და ჰარმონიულობით, ამიტომაც არის რამოდენიმე ლექსზე სიმღერაც შექმნილი.

ჩვენ პოეზიის მხრივ მდიდარნი ვართ, პოეზია არასოდეს ემორჩილება სიბერეს, ამიტომაც არის ტრისტანის შემოქმედება ნათელი შუქით მოფენილი, რომელიც მუდამდღე თავისი მკითხველისკენ ისწრაფვის.

ყველა სახის მხატვრული ნაწარმოები მისი აღმქმნელისთვის იქმნება, წიგნი-მკითხველისთვის, ყოველივე ამის გამოხატულება იყო საზოგადოება „ხობელის“ დარბაზში, შთამბეჭდავი, სასიხარულო და ამავე დროს საამაყო, განსაკუთრებული შეხვედრა ტრისტან ვადაქარიას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები. არა ერთი დამსახურებულად საქებარი სიტყვა ითქვა ტრისტანის შემოქმედების თუ მისი პიროვნების მიმართ. ერთმანეთს ენაცვლებოდა პროზა და პოეზია. და კიდევ ერთხელ იზეიმა სიყვარულმა და მეგობრობამ.

ტრისტანის ცხოვრებას ამშვენებს ერთი განსაკუთრებული შტრიხი: ზვიადის და მერაბის თანამებრძოლისა, მან ბევრს გაუძლო, ბევრიც ითმინა, რადგან სურდა მისი სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო.

ტრისტან ვადაქარია სიყვარულს ყველას თანაბრად უწილადებს, და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მასაც სიყვარულით პასუხობენ.

...და დადის ხობის ქუჩებში სიყვარულით აღსავსე კაცი, უფლისგან მინიჭებული ნიჭით, კეთილი საქმის კეთების სურვილით. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა გურიფულში წმ.კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი.

როცა ტრისტანის ლექსების კრებულს ,,ჩემი ოცნების ლურჯი ზმანება“-ს, უგულისყუროდ ვერ წავიკითხავთ, ერთსტროფიანი ლექსით იგი საკუთარ თავს ეხმიანება.

*„შე უბედურო, მე თუ სამტრო ვარ*
*მოდი, რა ჩუმი ბოღმით ივსები?!*
*თუ განსაცდელმა მარტო დამტოვა–*
*ჩემს დაჩოქებას ვერ ეღირსები!“*

მინდა წარმატებები ვუსურვო ბატონ ტრისტანს როგორც შემოქმედებით, ისე პირად ცხოვრებაში და ვიტოვებ იმედს, სულ მალე იხილავს მკითხველი მის პროზას, და იგი ისევე საინტერესო იქნება, როგორც მისი პოეზია

გავიმეორებ და ვიტყვი, მეამაყები მეგობარო!

**მანანა შამათავა.**

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის დღის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა.

ძველ ხიბულაში ფონდ „ქართუს" დაფინანსებით რეაბილიტირებულ მემორიალურ სახლს, სადაც ეროვნულმა გმირმა, ზვიად გამსახურდიამ თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები გაატარა, 2018 წლის 3 აგვისტოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მუზეუმში ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ქავთარაძემ, მერის მოადგილეებმა რევაზ ზაქარაიამ და დავით ბერაიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნას.

ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახლად აშენებულ მართალი ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარში, პანაშვიდი ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოებამ აღავლინა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ხობის მუნიციპალიტეტის პირველი პრეფექტის თენგიზ ქაჯაიას საფლავი ყვავილებით შეამკეს.

ქ. ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში მომხსენებელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა მამფორიამ გამართა კონფერენცია თემაზე „ღვაწლი მოწამისა, ღვაწლი მარტვილისა".

---



ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია მერის წარმომადგენლებს და ადმინისტრაციულ ერთეულში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში სპეციალისტებს შეხვდა.

შეხვედრაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან" დაკავშირებული საკითხები, მელიორაციის, ნაპირდამცავი და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოები, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მდგომარეობა, მოქალაქეთა მიერ ინიცირებული წინადადებები და მათი გადაჭრის გზები განიხილეს.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, მერის მოადგილე დავით ბერაია და სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი გია ჩაბალუხა გაეცნენ.

პროექტი ორ ეტაპად ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 796 393 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არქეოპოლისი" აწარმოებს.

# ინფორმაცია კოვიდ—19-ის შესახებ

მინდა, სასიხარულო ინფორმაცია მივაწოდო ჩვენი გაზეთის მკითხველებს იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვნად და საგრძნობლად შემცირდა კოვიდ-19-ის დადასტურებული შემთხვევები, როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. 11 აპრილს, ბოლო 24 საათის მონაცემებით საქართველოში გამოვლინდა 107 ახალი შემთხვევა, ბოლო 15 დღის სტატისტიკით ჩვენს მუნიციპალიტეტში ფიქსირდებოდა საშუალოდ 1-2 შემთხვევა. იყო დღეები, საერთოდ არ გვქონდა ახალი შემთხვევა, რაც შეეხება დადებითობის მაჩვენებელს 10 აპრილის მდგომარეობით დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 1,95 %, ბოლო 14 დღის მანძილზე დადებითობის მაჩვენებელია 1,95%, ბოლო 7 დღის მანძილზე კი 1,65%.

დღეისთვის საქართველოში კოვიდ–19-ის ყველა პარამეტრი და კრიტერიუმი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, რითაც ქვეყანაში პანდემია იზომება, ჰოსპიტალიზაცია მინიმუმამდეა შემცირებული, ასევე ინფიცირების მაჩვენებელი არის საკმაოდ შემცირებული, რაც ახლო ხანებში გამოიწვევს პანდემიის დასასრულს, რის შესახებაც იმედია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია გააკეთებს მიმდინარე წლის განცხადებას.

შეზღუდვებს, რაც შეეხება საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ძალაშია, მხოლოდ პირბადის ტარება ნებისმიერ დახურულ სივრცეში, ტრანსპორტში.

მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ კოვიდ-19-ის საბოლოო დამარცხებისთვის კვლავ მთავარ საშუალებად რჩება ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება, რომლის ტემპიც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა.

თხოვნით მივმართავ და მოვუწოდებ მოსახლეობას გააქტიურდნენ და ჩაიტარონ აცრები, რაც ჯანმრთელობის ერთ-ერთი გარანტიაა, როგორც ევროპის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის 80-90% არის აცრილი, ასევე უნდა მივაღწიოთ მთლიანი მოსახლეობის 80-90%-ის აცრას, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქმნება ძლიერი იმუნური ფენა და ნებისმიერ კოვიდ-19-ის ახალ ტალღას, თუ ასეთი იქნება, ადვილად გავუმკლავდებით. ამავე დროს აღვნიშნავ კოვიდ-19-ის აცრებისთვის წინა თვეებში დაწესებული მატერიალური წახალისება–ფულადი თანხის სახით შენარჩუნებულია აპრილის თვეშიც.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (კოვიდ-19-ის) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პირთა ნუსხისა და წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, კვლავაც გრძელდება სწრაფი მარტივი ანტიგენის ტესტით. ცხელების და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსახლეობის გამოკვლევა ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და ასევე სოფლების: შავღელეს, ჭალადიდის, საგვიჩიოს, ახალი ხიბულის, ძველი ხიბულის, საჯიჯაოს, ბიის, ზემო ქვალონის, ხეთის, ხამისქურის, თორსის სასოფლო-საექიმო ამბულატორიებში, ასევე ქ. ხობში ევექსის ჰოსპიტალური ქსელის კლინიკაში.

ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობით, დასახელებულ სოფლებში ხელმისაწვდომია ტესტირება. გარდა აღნიშნულისა, 7 დღეში ერთხელ გეგმიური ტესტირება სწრაფი, მარტივი ანტიგენით უტარდება მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის და ბაგა-ბაღის თანამშრომლებს.

ბოლოს, კიდევ ერთხელ მივმართავ ჩვენს მოსახლეობას, კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით აიცრან აუცილებლად, ორჯერადად და შესაბამისი დროის გასვლის შემდეგ, ასევე ჩაიტარონ ბუსტერ დოზით აცრა.

აცრები კვლავინდებურად ტარდება ქ. ხობში შ.პ.ს. „მკურალში", შ.პ.ს. „პულსში" და ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში.

*ჯუმბერ ტურავა,*
*ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მერი დავით ბუკია უკრაინის მოქალაქეს ალევტინა ნასტაშევსკას შეხვდა, რომელიც უკრაინაში მიმდინარე ომის დაწყების შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში შვილთან ერთად ცხოვრობს.

დავით ბუკიამ ალევტინა ნასტაშევსკას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც საომარი მოქმედებების გამო, დევნილად ქცეული მოქალაქეების საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გამარტივებული წესით მიღებას გულისხმობს.

შესაბამისად, პატარა ევა ხობის მეორე საბავშვო ბაღში ორშაბათიდან, 4 აპრილიდან დადის.

უკრაინული ოჯახების მხარდაჭერა ხობის მუნიციპალიტეტში ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც ჰუმანიტარული დახმარება ორ ეტაპად გადაიგზავნა და ჩატარდა სისხლის უანგარო დონაციის აქცია.

ხობელების მიერ, გაღებული სისხლი შეინახება სისხლის ბანკში და საჭიროების შემთხვევაში ჰუმანიტარული დახმარების სახით გაიგზავნება უკრაინაში.

* * *

ხობის მუნიციპალიტეტიდან, ჰუმანიტარული დახმარების მორიგი ტვირთი უკრაინაში გაიგზავნა. ჰუმანიტარული ტვირთი არამალფუჭებადი პროდუქტის, პირველადი მოხმარების საგნების და სამედიცინო ნივთებისგან შედგება. ტვირთის მობილიზების პროცესში, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული მოქალაქეები და სხვადასხვა ორგანიზაციები.

უკრაინაში გასაგზავნად მეორე ეტაპისთვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან 10 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა.

---




ქალაქ ხობში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრში, სასწავლო პროცესი განახლდა.

ცენტრის მომსახურებით 6-18 წლამდე ასაკის 20 ბენეფიციარი სარგებლობს.

დღის ცენტრს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის მოადგილე დავით ბერაია ეწვივნენ, არსებულ გარემოს გაეცნენ და ცენტრის თანამშრომლებს მხარდაჭერა აღუთქვეს.

დღის ცენტრის საქმიანობა ბენეფიციართათვის ლოგოპედის, სპეციალური მასწავლებლის, ინდივიდუალური ასისტენტის, ხელოვნების და მუსიკის პედაგოგთა მომსახურებას, კვებას და ტრანსპორტირებას მოიცავს.

ბავშვებთან სპეციალისტები არაფორმალური განათლების, თერაპიული აქტივობებისა და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით იმუშავებენ.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „განათლების და განვითარების ცენტრ თოლისკურს“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, მერია უზრუნველყოფს დღის ცენტრის ფართის და კომუნალური ხარჯების დაფინანსებას.

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტს „განათლების და განვითარების ცენტრი თოლისკური“ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ახორციელებს.





**ბუდაპეშტში მიმდინარე ევროპის პირველობაზე, ხობელმა ნუგზარ წურწუმიამ 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

**ვულოცავთ, ნუგზარს, ევროპის პირველობაზე მოპოვებულ ვიცე-ჩემპიონის ტიტულს.**

---



**რუმინეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების წევრმა, ანა ხუნჯუამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

**ვულოცავთ, ხობელ სპორტსმენს და მის გულშემატკივრებს საერთაშორისო ტურნირზე მოპოვებულ ვიცე-ჩემპიონის ტიტულს.**

---

**ევროპის 2022 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდულ მოკრივეთა ნაკრები, ქალაქ სოფიაში, ბულგარეთში გაემგზავრა.**

**საქართველოს ახალგაზრდულ მოკრივეთა ნაკრების შემადგენლობაში არიან საჯიჯაოელი მოკრივეები: გიორგი ახალაია–71 კგ. და დემურ ქაჯაია–63.5 კგ.**

**ორთაბრძოლები 13 აპრილს დაიწყო.**

**წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს მოკრივეებს.**

---



საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. ნაკრების შემადგენლობაშია ქ.ს.კ ხობის „კოლხეთის“ შემტევი და კაპიტანი, **ანა წულაია**.

საქართველოს ნაკრები შვედეთთან და ფინეთთან გასამართი მატჩებისთვის 23 ფეხბურთელის შემადგენლობით ემზადება.

---

ქ. ხაშურში 17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ბრწყინვალედ იასპარეზეს ხობის სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა.

**ვახტანგ ლოლუა** (48 კგ. წონითი კატეგორია)–I ადგილი (მწვრთნელები სურაჟი გვასალია, მამუკა ყორშია, ბაკური ბუკია);

**მაცი ზარანდი**ა (48 წონითი კატეგორია)–II ადგილი, ვიცე ჩემპიონი (მწვრთნელები ალმასხან ხუნჯუა, ზურაბი ჭითაშვილი).

**გოგა უბილავა** (60 კგ წონითი კატეგორია)–III ადგილი (მწვრთნელი ალმასხან ხუნჯუა, ზურაბი ჭითაშვილი).

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.